

გამტკიცებ:

საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრის დირექტორი

/თამარ ტატიშვილი/

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის
სამგზავრო თანხის გაცემის წესი

პუნქტი 1. სამგზავრო თანხის გაცემის წესი შეეხება საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში – კინოცენტრი) ბიუჯეტიდან კინომოღვაწეების საერთაშორისო კინოფესტივალებში, კინობაზრობებში, კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით აუცილებელი სამგზავრო თანხის გაცემას.

პუნქტი 2. სამგზავრო თანხას გასცემს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრში შექმნილი უფლებამოსილი კომისია. კომისია შედგება 4 წევრისაგან, რომელიც კომპლექტდება კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის თანამშრომლებისაგან. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება კომისიის არანაკლებ 2 წევრი.

პუნქტი 3. სამგზავრო თანხა გაიცემა წელიწადში არა უმეტეს ორისა:

- ა) მიწვეული ფილმის შემოქმედებითი ან ტექნიკური ჯგუფის ერთ-ერთ წევრზე, თუ ფილმი მონაწილეობს საერთაშორისო კინოფესტივალზე საერთაშორისო კონკურსში ან სპეციალურ პროგრამაში.
- ბ) პროექტის ერთ-ერთ ავტორზე, თუ ავტორის მონაწილეობა ღონისძიებაში ხელს უწყობს ფილმის პროექტის განვითარებას;
- გ) კინომოღვაწეზე, თუ კინომოღვაწის მონაწილეობა ღონისძიებაში ხელს უწყობს მის პროფესიულ განვითარებას.

პუნქტი 4. იმ შემთხვევაში, თუ კინოცენტრსა და საერთაშორისო კინოფესტივალს (ან სხვა ორგანიზაციას) შორის არსებობს წერილობითი ან/და ზეპირი შეთანხმება კონკრეტული კინომოღვაწის საერთაშორისო კინოფესტივალის ინდუსტრიულ ნაწილში (ბაზრობა, ტრენინგი და ა.შ) ჩართულობის შესახებ, ასევე თუ ფილმი მიწვეულია მაღალი კლასის საერთაშორისო ფესტივალზე, მაშინ ასეთ პირზე დასაშვებია დამატებითი სამგზავრო თანხის გაცემა, მიუხედავად იმისა მან ამოწურა თუ არა მე-3 პუნქტით განსაზღვრული ლიმიტი.

თუ ფილმი მიწვეულია მაღალი კლასის საერთაშორისო ფესტივალის, საკონკურსო პროგრამაში სამგზავრო თანხა შეიძლება გაიცეს მიწვეული ფილმის შემოქმედებითი ან/და ტექნიკური ჯგუფის არა უმეტეს 3 წევრზე.

პუნქტი 5. სამგზავრო თანხა მოიცავს ორმხრივი მგზავრობის ხარჯის ანაზღაურებას (თვითმფრინავი ეკონომ - კლასი, მატარებელი, ავტობუსი).

პუნქტი 6. მგზავრობის თანხის მისაღებად კინოცენტრს წარედგინება განაცხადი გამგზავრებამდე 15 დღით ადრე. განაცხადი უნდა მოიცავდეს:

- ა) ოფიციალურ მოწვევას ღონისძიების ორგანიზატორისგან.
- ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლს.
- გ) კინოცენტრის დირექტორის სახელზე შედგენილ განცხადებას, რომელშიც მიეთითება მგზავრობის ზუსტი თარიღი და მიმართულება.

პუნქტი 7. კომისია უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილებებიდან ერთ-ერთი:

- ა) სამგზავრო თანხის გამოყოფის შესახებ;
- ბ) სამგზავრო თანხის გამოყოფაზე უარის თქმის შესახებ;
- გ) სამგზავრო თანხის ნაწილის ანაზღაურების შესახებ.

კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ადგენს კომისიის ერთ-ერთი წევრი და ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.

გადაწყვეტილება სამგზავრო თანხის მიღების შესახებ განმცხადებელს ეცნობება განაცხადის წარდგენიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში.

პუნქტი 8. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, კინოცენტრი სამგზავრო თანხის მიმღებთან აფორმებს ხელშეკრულებას და ურიცხავს მას ხელშეკრულებით განსაზღვრულ სამგზავრო თანხას.

სამგზავრო თანხის მიმღებმა პირმა სამგზავრო ბილეთი უნდა დაუბრუნოს კინოცენტრს ქვეყანაში დაბრუნებიდან 5 დღის ვადაში.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის
სამგზავრო თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე და 53-ე მუხლებისა და საქართველოს სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ფილმების, ფილმის პროექტებისა და კინომოდვაწეების საერთაშორისო კინოფესტივალებში, კინობაზრობებში, კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობის მიზნით საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის სამგზავრო თანხის გაცემის წესი.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სამგზავრო თანხის გაცემის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2012 წლის 25 ივნისის №101 ბრძანება.
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში (ზვიად გამსახურდიას სახელობის №4) დაინტერესებული პირის მიერ მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

დირექტორი

თ. ტატიშვილი